საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ა. შ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.02.2019

საჩივრის რეგისტრაციის №026/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ბ. კ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ბ. კ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **მომართვის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 27 თებერვალს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა. შ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ბ. კ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას დავა ჰქონდა იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით, სადაც მოწინააღმდეგე მხარის, შპს ,,ვტნ"-ის ადვოკატს წარმოადგენდა ბ. კ.. საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმესთან დაკავშირებით მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოყვანილი თითქმის ყველა გარემოება და ზოგიერთი წერილობითი მტკიცებულება წარმოადგენს ცრუს ან ყალბს, რაც ადვოკატ ბ. კ.-ის დამსახურებაა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მაშინ, როდესაც მოპასუხე მხარემ არ გადაუხადა ბინის ქირა, შესაგებელში მოპასუხე მხარის ადვოკატი ამტკიცებდა, რომ მოსარჩელე მხარეს გაუსწორა ანგარიში და გადასცა ბინის გასაღები, რასთან დაკავშირებითაც შესაგებელს დაურთო მხოლოდ ერთი წერილობით მტკიცებულება. ასევე, ადვოკატმა მტკიცებულებად მიუთითა ახსნა-განმარტებაზე, რომელიც მოპასუხე მხარეს არ გაუკეთებია. ადვოკატმა უარყო, რომ მობილური ტელეფონი, რომელიც მითითებულია მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილ მობილური ტელეფონებით საუბრების ბილინგის მონაცემებში და ქ.თბილისის კომუნალური სამსახურების მიერ გაცემულ აბონენტის ისტორიების ამონაწერში, ეკუთვნის მოპასუხე მხარეს. ა. შ.-ის განმარტებით, კომუნალურ გადასახადებზე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით ადვოკატმა მოსამზადებელ სხდომაზე სასამართლოს წარუდგინა კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი 15 საბანკო საბუთი, აღნიშნული კი სასამართლოსთვის თვალის ასახვევად გააკეთა, რადგან როდესაც საბუთები დაალაგა აღმოჩნდა, რომ ადვოკატს შეგნებულად არ ჰქონდა წარმოდგენლი წყლის გადასახადის გადახდის დამადასტურებელი საბანკო საბუთები.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ბ. კ. ცდილობდა სასამართლო შეცდომაში შეეყვანა და არასწორად განმარტავდა შემდეგს - „მოპასუხე იხდიდა და შესაბამისად, გადაიხდიდა...“, რაც სასამართლოს უნდა მიეღო, როგორც ჭეშმარიტება, რითაც ადვოკატმა, ფაქტობრივად, უნდობლობა გამოუცხადა კომუნალური სამსახურების მონაცემების ავთენტურობას. ადვოკატის აქტიური პროტესტების ფონზე სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის არცერთი წერილობითი შუამდგომლობა, ადვოკატმა განაცხადა, რომ გარკვეული იყო საქმის მასალებში და თავად გასცემდა პასუხს ნებისმიერ კითხვაზე, თუმცა ვერცერთ შეკითხვას დასაბუთებული პასუხი ვერ გასცა. მიუხედავად ადვოკატ ბ. კ.-ის მცდელობისა და შეგნებულად ცრუ ინფორმაციის მიწოდებისა სასამართლომ არ ჩათვალა მისი მონაცემები რეალობის ამსახველად და მოპასუხეს დააკისრა ბინის ქირის გადახდა. ა. შ.-ის განმარტებით, მოპასუხე მხარემ ბინის ქირის თანხას გამოაკლო ადმინისტრაციული სახდელის თანხა, რომელიც სამი თვის განმავლობაში მრიცხველის გვერდის ავლით წყლის მოხმარებისათვის დაეკისრათ, ამ საკითხთან დაკავშირებით კი ადვოკატმა ბ. კ.-მ სასამართლოს არასწორი, დაუსაბუთებელი განმარტება მისცა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს არ აქვს უფლება მოითხოვოს გასამრჯელოს გადახდა, რადგან არ არსებობს არც წერილობითი ხელშეკრულება და არც თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. ადვოკატმა წარმოადგინა საადვოკატო მომსახურებისათვის თანხის გადახდის დამადასტურებელი 2018 წლის 21 აპრილის სალაროს გასვლის ორდერი, რომელიც, მთელი რიგი ნიშნებით, არის ყალბი. ადვოკატი და მისი მარწმუნებელი ამტკიცებდნენ, რომ საადვოკატო მომსახურებისათვის განსაზღვრული იყო 1200 ლარი, რადგან სამართლებრივად რთულ და მნიშვნელოვან საქმეზე იყო დავა, მაშინ, როცა შესაგებლის ფორმის კითხვაზე მიუთითებენ, რომ საქმე არ გამოირჩევა არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი სირთულეებით. აღნიშნულიდან გამომდინარე საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადოკატისათვის გადახდილი და ორდერით დეკლარირებული თანხა არ არის შესაბამისობაში, რასაც ის ფაქტიც ამტკიცებს, რომ ორდერში არ არის გათვალისწინებული ფირმის მთავარი ბუღალტრის ხელმოწერა, როგორც ამას ადგილი აქვს ბინის ქირის გაცემის სალაროს გასავლის ორდერში, შესაბამისად, მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი

ორდერი ან ყალბია ან ადვოკატისთვის თანხის გადახდა მოხდა ბუღალტერიის გვერდის ავლით და არ აისახა მოპასუხის საბუღალტრო საბუთებში, მათ შორის საგადასახადო დეკლარაციებში. გარდა აღნიშნულისა მოპასუხე მხარე ითხოვს მოსარჩელისთვის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით დახარჯული ისეთი თანხების ანაზღაურებას, როგორიცაა: შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ქაღალდის ფურცლების, საფოსტო გზავნილების, სასამართლო სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად გადაადგილებაზე დახარჯული თანხები, რომელიც რეალობას არ შეესაბამება, ადვოკატს არ უწარმოებია სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით.

1.6 საჩივრის ავტორი 2019 წლის 18 მარტს გამოცხადდა ეთიკის კომისიის სხდომაზე და დაადასტურა საჩივარში მითითებული გარემოებები.

2. ადვოკატის პოზიცია:

ადვოკატ ბ. კ.-ს ა. შ.-ის საჩივარი ჩაბარდა 2019 წლის 13 მარტს. ადვოკატს საჩივართან დაკავშირებით ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ბ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი სიითი /N/ სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი.

3.2 ა. შ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 27 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ბ. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხსიმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30 მუხლის პირველი პუნქტით გათვლისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საპროცესო კოლეგია გაეცნო საჩივრის ავტორის მიერ საქმეში წარმოდგენილ მასალებს, მოუსმინა საჩივრის ავტორის ახნა-განმარტებას და იმსჯელა ადვოკატ ბ. კ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,საადვოკატო საქმიანობის პრინციპია - კანონიერება“.

5.1.2 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

5.1.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–9 მუხლის მე–3 ნაწილი: „ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება.“

5.2 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით. ადვოკატმა ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მისი ინტერესები ნებისმიერი პირის ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა.

5.3 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტი და წარმოადგინოს მისი კანონიერი ინტერესები მხოლოდ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები სასამართლოში დადგენილი ქცევის წესებით და პროცესუალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული, რისი დაცვის ვალდებულება ასევე ეკისრება ადვოკატს“. (იხ. ეთიკის კომისიის 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N010/10)

5.4 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატს არა თუ უფლება აქვს, არამედ ვალდებულია გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. ამასთან, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს ორიენტირებული კლიენტზე და მიზნად ისახავდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

5.5 განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი ბ. კ. ახორციელებდა საჩივრის ავტორის მოპასუხე მხარის, შპს „V.”-ის წარმომადგენლობას, შესაბამისად, მის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებები, მოწინააღმდეგე მხარის მიერ მითითებულ ფაქტებთან და ამ ფაქტების დამადასტურებელ მტკიცებულებებთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტებები გამომდინარეობდა კლიენტის ინტერესებიდან. ადვოკატის პროფესიის არსი და ბუნება წარმოადგენს კლიენტის ინტერესების დაცვას და ადვოკატი ყოველთვის ატარებს პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის საპირისპირო ინტერესს. შესაძლებელია მეორე მხარეს არ მოსწონდეს ის მეთოდი, რომლითაც ადვოკატი თავის კლიენტს იცავს, მაგრამ დაცვის სტრატეგიის არჩევა ადვოკატისა და მისი კლიენტის შეთანხმებით ხორციელდება.

5.6 განსახილველ შემთხვევაში ადვოკატის მიზანი იყო კლიენტის - შპს „V.”- ის ინტერესების დაცვა. ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევაზე პრეტენზია არ განუცხადებია მის მარწმუნებელს, შესაბამისად, ბ. კ.-ის მიერ განხორციელებული პროცესუალური ქმედებები შეთანხმებული იყო კლიენტთან და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა კანონიერების პრინციპთან. მართალია, ადვოკატის როლი მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სისტემაში, თუმცა მას პროფესიული სტანდარტებით ნაკლებად ევალება, რომ ყოველ კონკრეტულ შემთვევაში ობიექტურად შეაფასოს ვითარება და

დაადგინოს სრული ჭეშმარიტება, თუ ეს თავად კლიენტის სურვილი არაა და არ შედის მის ინტერესში.

5.7 საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, ადვოკატის მიერ სასამრთლოსთვის ყალბი მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით, კოლეგია განმარტავს, რომ საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომელიც კოლეგიის წევრებს დასაბუთებულებულ ვარაუდს გაუჩენდა ადვოკატის მიერ მსგავსი ქმედების განხორციელებაზე. საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებთან დაკავშირებით პრეტენზია არ გამოუთქვამს თავად მარწმუნებელს, შესაბამისად იგი ეთანხმება ადვოკატის მიერ წარდგენილ ხარჯთაღრიცხვას, მოპასუხე მხარის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი შუამდგომლობების განხილვა თანხის ოდენობასთან დაკავშირებით არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში და საბოლოო გადაწყვეტილება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიიღოს.

5.8 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ბ. კ.-ის ქმედებაში არ დასტურდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–9 მუხლის მე–3 პუნქტით, „ადვოკატთა შესახებ „ კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და მე–6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის ნიშნები, შესაბამისად, ადვოკატ ბ. კ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.9 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 33–ე მუხლით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N117/18 ადვოკატ ბ. კ.-ის მიმართ /სიითი N/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/